პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი № 9 (10095) | ოთხშაბათი, 12 იანვარი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

საბჭოთა საქართველოს დღე (1-ლი გვერდი).
ამუშავდა დუბოსარის ჰესის პირველი რიგი (1-ლი გვერდი).
გავაძლიეროთ პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობა (მე-2 გვერდი).
გ. ხუციშვილი. — გავაუმჯობესოთ სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის გამოცემა (მე-2 გვერდი).
კანცელარიიდან კანცელარიაში (მე-2 გვერდი).
ლენტეხის რაიონში (მე-2 გვერდი).
კომუნისტები თუჯის წარმოების ათვისებისათვის ბრძოლაში (მე-3 გვერდი).
კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. — „ძმობა“ (მე-3 გვერდი).
დუშელთა საპასუხო წერილები გუნიბრალ[illegible] (მე-3 გვერდი).
საბჭოთა ვაჭრობის წესების დარღვევათა წინააღმდეგ (მე-3 გვერდი).
საყურადღებო „წვრილმანები“. — უდარდელობის შედეგად... (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

გავაუმჯობესოთ მწყემსთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები

საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით წარმატებით დამთავრა 1954 სამეურნეო წელი. საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები თავდადებით იბრძვიან პარტიისა და მთავრობის მიერ სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობისათვის დასახული პროგრამის განსახორციელებლად.

ამ საერთო-სახალხო ბრძოლაში ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეებმა და მექანიზატორებმა მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს. შარშან გარკვეული მიღწევებით აღინიშნა მუშაობა საზოგადოებრივი მეცხოველეობის განსავითარებლად.

არ არსებობს იმაზე საპატიო საქმე, ვიდრე საკუთარი შრომით ეხმარებოდე პარტიასა და მთავრობას დასახულ ღონისძიებათა განხორციელებაში. ამიტომ იყო, რომ მეცხოველეობის მუშაკებმა, უბრალო, რიგითმა ადამიანებმა პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით გაიჩაღეს ბრძოლა მეცხოველეობაში წინა წლებში დაშვებული სერიოზული ჩავარდნების გამოსწორებისათვის. გასული წლის შედეგები მოწმობენ, რომ მათს თავდადებულ შრომას მნიშვნელოვანი წარმატებები მოჰყვა. ჩრდილოეთ კავკასიის საძოვრებზე, სადაც ჩვენი რესპუბლიკის ასეულ ათასობით ცხვარი იზამთრებს, საკვების დაგროვების გეგმა შესრულებულია 113 პროცენტით. დუშეთის, ყაზბეგის, თიანეთის, ლენინგორის, ჯავის რაიონებმა თვითეულ სულ ცხვარზე დაამზადეს 153-188 კილოგრამი თივა.

მეცხოველეობაში ახალ წარმატებათა მოპოვება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ პირობებს შევუქმნით მუშაობისათვის მეცხოველეებს, მწყემსებს, როგორ მოვაწყობთ მათს კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებას. აუცილებელია ყოველდღიურად ვზრუნავდეთ მეცხოველეობაში ცენტრალური ფიგურის — მწყემსის საყოფაცხოვრებო პირობების სისტემატური გაუმჯობესებისათვის. ამ მხრივ გასულ სამეურნეო წელს ჩრდილოეთ კავკასიის საზამთრო საძოვრებზე სერიოზული მუშაობა იქნა გაწეული.

საკმარისია ითქვას, რომ 1954 წელს გეგმით გათვალისწინებული 62 ბინის ნაცვლად მწყემსებისათვის აშენდა 104 ბინა, მოეწყო 41 აბანო. საზამთრო საძოვრებზე მეცხოველეებს აწუხებთ წყლით უზრუნველყოფის საკითხი. მართალია, შარშან თვრამეტი არტეზიული ჭა გაკეთდა, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ამის გამო სოფლების გიმარას (ყაზბეგის რაიონი), ქვემო ალვანის (ახმეტის რაიონი) და ხევშას (დუშეთის რაიონი) კოლმეურნეობებს 5-7 კილომეტრზე უხდებათ ცხვრის გადარეკვა დასარწყულებლად.

აღსანიშნავია, რომ ჩორნი რინოკში არსებულმა მეცხოველეობის სამანქანო სადგურმა უკეთ მოაწყო მუშაობა. ახლა მის განკარგულებაშია 42 სხვადასხვა მარკის ტრაქტორი, 25 ავტომანქანა და სხვა იარაღ-მანქანები. ცეკავშირის სპეციალურ საცალო სავაჭროებში შეტანილია რვაასი ცალი რკინის კასრი, 5 ტონა სახურავი თუნუქი, 400 კუბური მეტრი მრგვალი ხე-ტყე, ოცი ტონა ცემენტი, 25.000 ცალი აგური და სხვა მასალები.

მწყემსთა მომსახურების გაუმჯობესებისათვის გასულ წელს საზამთრო საძოვრებზე დამატებით აშენდა 5 ახალი ბინა სამედიცინო პუნქტებისათვის, გაიხსნა 4 სავაჭრო მაღაზია. ჩორნი რინოკში აშენებულ ორსართულიან სახლთან მოეწყო სასტუმრო, საპარიკმახერო, სასადილო, კლუბ-სამკითხველო. შარშან შეძენილ იქნა 5.000 მანეთის ლიტერატურა.

კარგი საქმე გაკეთდა საზამთრო საძოვრების მთავარ მასივებს — ბაჯიგანს, ბაკრესს, მეცამეტე გადასასვლელს, ბირუზიაკსა და სხვა ადგილებს შორის რადიოკავშირის მოწყობით. მაგრამ ეს ყველაფერი როდია. მწყემსთა მომსახურებაში კვლავ არის არსებითი ნაკლოვანებანი.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ორი კინომოძრავი მანქანა უნდა გამოეყო, მუშაობს მხოლოდ ერთი. სამინისტროს არ შეუსრულებია დავალება ორი მოძრავი ბიბლიოთეკის მოწყობის შესახებ, კლუბს არა აქვს საჭირო ინვენტარი, წიგნების ფონდი ვერ აკმაყოფილებს მწყემსთა მოთხოვნილებას.

ჩრდილოეთ კავკასიის საზამთრო საძოვრებზე მყოფ მწყემსებს სასაყვედურო აქვთ აგრეთვე ცეკავშირის მუშაკების მიმართ, რომლებსაც ნაკლებად შეაქვთ საძოვრებზე მაკარონი, თევზეული, კონსერვები, შალეული და პირველი მოთხოვნილების ზოგიერთი საქონელი. საყვედურს გამოთქვამენ აგრეთვე იმის გამო, რომ ცუდად არის მოწყობილი სატელეფონო კავშირი თბილისთან. საამისოდ გათვალისწინებული ერთი საათი საკმარისი არ არის. ამ საკითხით უნდა დაინტერესდეს სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს სარწმუნებულო საქართველოს სს რესპუბლიკაში.

დღემდე შექმნილი არ არის სრულყოფილი კინოფილმები საზამთრო საძოვრებზე მწყემსთა ყოფაცხოვრების, მათი მუშაობის შესახებ. საჭიროა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ ამ მხრივ სათანადო ღონისძიებანი განახორციელოს.

რედაქციაში შემოსული მასალები აგრეთვე მოწმობენ, რომ ჩვენი რესპუბლიკის შიგნით არსებულ საძოვრებზე ყველგან როდი ზრუნავენ მწყემსთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. მაგალითად, ელდარის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი შ. ჯმუხაძე) მწყემსებისათვის ზრუნვა დაივიწყეს. აქ მათ დღემდე არა აქვთ ცალკე საცხოვრებელი ბინები, რის გამო მიწურებში ცხოვრობენ. კულტურული მომსახურება ჩაშლილია. მეურნეობის ხელმძღვანელობა იქამდეც კი მივიდა, რომ კლუბი ფურაჟის საწყობად გადააქცია. არ მუშაობს რადიო, ოთხ თვეზე მეტია კინოსურათი არ უჩვენებიათ.

ზემო მაჩხაანის (წითელწყაროს რაიონი) სტალინის სახელობის კოლმეურნეობას მეცხოველეობის მძლავრი ფერმები აქვს. აქ რვაასზე მეტი მწყემსი და მომვლელი მუშაობს. ეს დიდი ძალა სათანადო ყურადღებით არ სარგებლობს. უმრავლესობას არა აქვს სპეცტანსაცმელი. მწყემსები მოკლებული არიან კულტურულ გართობას. სოფელში არსებული კლუბი თავის დანიშნულებას ვერ ასრულებს. სუსტია სამედიცინო მომსახურება. ასეთივე მდგომარეობაა თეთრი წყაროს რაიონის სოფელ პატარა თონეთის და დმანისის რაიონის სოფელ ჯავახის კოლმეურნეობებშიც.

ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა ორგანიზაციების და ცეკავშირის ხელმძღვანელთა გადაუდებელი ამოცანაა გულდასმით შეისწავლონ მწყემსთა მომსახურების მდგომარეობა და ყოველი ღონისძიებით უზრუნველყონ არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორება.

შეუნელებელი ზრუნვა მწყემსთა კულტურული და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და საოფლო-სამეურნეო ორგანოების მოვალეობაა, მათი ღვიძლი საქმეა.

აჭარის ასსრ მეთამბაქოეებმა სახელმწიფოსათვის თამბაქოს ჩაბარების გეგმა შეასრულეს

ბათუმი, 11 იანვარი. (საქდესი). აჭარის ასსრ მეთამბაქოობის კოლმეურნეობებმა ვადამდე 1955 წლის 9 იანვრისათვის, შეასრულეს სახელმწიფოსათვის 1954 წლის მოსავლის თამბაქოს ჩაბარების გეგმა. 9 იანვრისათვის დამზადებულია და თამბაქოს საფერმენტაციო ქარხანას ჩაბარდა 1.084,8 ტონა თამბაქო. გრძელდება თამბაქოს ჩაბარება გეგმის გადამეტებით.

ფრაქტორების რემონტის ნღიური გეგმების შესრულება

წითლისა და ბარალეთის მტს-ების კოლექტივებმა ტრაქტორების რემონტის წლიური გეგმები ვადამდე შეასრულეს და წარმატებით ემზადებიან საგაზაფხულო სამუშაოებისათვის.

ლანჩხუთის რაიონის კოლმეურნეობებმა გაანაღდეს ტუნგოს ნაყოფის დამზადების გეგმა

ლანჩხუთის რაიონის კოლმეურნეობებმა 10 იანვრისათვის გადაჭარბებით შეასრულეს 1954 წლის მოსავლის ტუნგოს ნაყოფის დამზადების გეგმა. სახელმწიფოს ჩაბარდა 45 ტონით მეტი ტუნგოს ნაყოფი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული.

ტუნგოს ნაყოფის დამზადება გრძელდება.

საბჭოთა საქართველოს დღე

★ ★ ★

მზადება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის

ამომრჩეველთა სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა აგიტატორმა მარო კალანდაძემ (თბილისი, 26 კომისრის რაიონი). ის მთელი პასუხისმგებლობით, ცოცხლად და მიმზიდველად აწყობს საუბრებს საბჭოთა კონსტიტუციის, არჩევნების დებულების შესახებ. აი ახლაც მარო კალანდაძე დუშეთის ქ. № 15 სახლის მცხოვრებლებს გაზეთის ახალი ნომრის მასალების მიხედვით მოუთხრობს საბჭოთა ადამიანის პატრიოტიზმზე, მის გმირულ ბრძოლაზე პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა პირნათლად შესრულებისათვის.

ფოტო შ. გოქაძისა.

★

▷ შრომითს ვახჯზე

ტყიბული. („კომუნისტის“ კორ.). მეშახტეებმა საარჩევნო კომისიებში წარგზავნეს მეტი და მაღალმარისხოვანი ქვანახშირისათვის მებრძოლი ადამიანები: გამოჩენილი მნგრეველი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი შ. ფურცხვანიძე, ცნობილი მეშახტეები დ. ცარეკიძე, ს. კუკულავა, ლ. ახალაძე, კ. ლიტოკჩენკო, მ. ჭელიშვილი, ლ. ნოვიკოვა და სხვები.

საგიტაციო მუშაობის გასაუმჯობესებლად პარტიის ტყიბულის რაიკომმა მოაწყო პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნების, აგიტატორებისა და აგიტკოლექტივის ხელმძღვანელების საკალაკო თათბირი. თათბირზე მოსმენილ იქნა მოხსენება არჩევნებისათვის მზადების პერიოდში საგიტაციო-მასობრივი მუშაობის შესახებ.

აგიტატორები მეშახტე ამომრჩევლებს აცნობენ არჩევნების დებულებას, მოუწოდებენ მათ ხუთწლიანი გეგმით დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებისაკენ.

რაიკომის პარტიულ ბიბლიოთეკაში მოეწყო საარჩევნო ლიტერატურის გამოფენა. აგიტატორებისათვის პრაქტიკული დახმარების მიზნით აქ სისტემატურად ეწყობა კონსულტაციები. არჩევნებისადმი მიძღვნილი ლიტერატურის გამოფენები მოეწყო აგრეთვე ქალაქის ცენტრალურ და სამხატო ბიბლიოთეკებში. შესამჩნევად გაძლიერდა ლექციური პროპაგანდა. ადგილობრივი ძალებით იკითხება ლექცია-მოხსენებები. ამას წინათ სამთო-სამრეწველო სკოლის მოსწავლეებისათვის ლექტორმა მ. დაღუნდარაძემ წაიკითხა ლექცია თემაზე „საბჭოთა კავშირის სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილება“.

არჩევნებისათვის მზადების დღეები შახტებსა და საექსპლოატაციო უბნებში აღინიშნება ახალი შრომითი მიღწევებით. მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა ადმავალი სამთო სამუშაოების მექანიზაციას. ამ მიზნით ლენინის სახელობის შახტში წარმოებს ახალი კონსტრუქციის საბურღავი მანქანის ათვისება. სტალინის სახელობის შახტის ჰიდრავლიკური ვსების კომპლექსის მუშაობის გაუმჯობესების მიზნით დამთავრდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა სავსები მასალის შემრევი დიდი მოცულობის ბუნკერი.

ახალ წელს წარმატებით განაგრძობენ მუშაობას მოლოტოვის სახელობისა და ველათის შახტების კოლექტივები. ისინი გადაჭარბებით ასრულებენ ქვანახშირის ამოღების სადღეღამისო დავალებებს.

მრავალი მეშახტე შრომითს ვახტზე დგას და იმისათვის იბრძვის, რომ არჩევნების დღისათვის გაანაღდოს ქვანახშირის ამოღების პირველი კვარტალის გეგმა.

◁ ★ ▷

▷ ლაჯანურიჰესის მშენებლებთან

ცაგერი. („კომუნისტის“ კორ.). ლაჯანურჰესის მშენებლობაზე ამ დღეებში დიდი გამოცოცხლებაა. ყოველდღიურად სულ უფრო ფართოდ ჩაღდება მზადება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის. მშენებელ ამომრჩევლებთან სისტემატურად მართავს საუბრებს მოწინავე აგიტატორი ი. ტოროპოვი. მშენებლობაზე გაიშალა საბჭოების არჩევნების აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, ფართოდ ინერგება მოწინავეთა გამოცდილება.

ცაგერის რაიონში შექმნილია 26 აგიტპუნქტი, რომლებშიც საგიტაციო-მასობრივ მუშაობას ეწევა 440 აგიტატორი. ამ საქმეში მოწინავენი არიან სოფელ ორბელისა და ალპანის აგიტპუნქტები. თავიანთი კარგი მუშაობით ამომრჩეველთა პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურეს აგიტატორებმა თ. თაბაგარმა და ზ. ხვადაგიანმა.

ამუშავდა დუბოსარის ჰესის პირველი რიგი

დუბოსარის ჰესის მშენებლები ბედნიერი არიან იმით, რომ ვადაზე შესრულდა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დავალება. ჰიდროელექტროსადგურის პირველმა ორმა აგრეგატმა დენი მოგვცა. დნესტრის ენერგია პირველად ჩადგა ადამიანის სამსახურში.

საბჭოთა სახელმწიფომ მშენებლები უახლესი ტექნიკით შეაიარაღა. იქსკავატორების, სკრეპერების, ბულდოზერების, მიწისმწოვი მანქანების დახმარებით შესრულებულია სამ მილიონამდე კუბური მეტრი მიწის სამუშაოები. მშენებლობაზე შექმნილი იყო მძლავრი ზურგი — ბეტონის ქარხანა, ხე-ტყის ქარხანა, გაიხსნა ქვის, ხრეშისა და სილის მექანიზებული კარიერები, მთელი რიგი სხვა დამხმარე საწარმოები. იქმნებოდა აგრეთვე მშენებელთა საცხოვრებელი ქალაქი. უშენ ადგილზე აგებულ იქნა ორასამდე საცხოვრებელი სახლი, სკოლა, საავადმყოფო, კლუბი, სბავშვო ბაღი და ბაგა.

სამუშაოთა მსვლელობაში მშენებლებმა ბევრი სიძნელე გადალახეს. მედგარი ბრძოლა გადავიხადეთ გრუნტის წყლების წინააღმდეგ, რომლებიც ქვაბულს ტბორავდნენ. ნემსფილტრებისა და დონისდამწევი ტუმბოების დახმარებით მოხერხდა მოკლე ვადაში ქვაბულის ტერიტორიის ამოშრობა და უკვე 1952 წლის გაზაფხულზე აქ მუშაობა დაიწყეს ბულდოზერებმა, იქსკავატორებმა, გრეიდერებმა. შპუნტისა და მიწის ზღუდარების საფარით მშენებლები შეუდგნენ ჰიდროკვანძის ძირითად ნაგებობათა აშენებას.

○ საუბარი დუბოსარის ჰესის მშენებლობის უფროსთან ამხ. ი. ა. შუტიკოვთან ○

მშენებლობაზე გაიზარდნენ თავიანთი საქმის შესანიშნავი ოსტატები. ერთ-ერთი საუკეთესო ელექტროშემდუღებელი გახდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ივდოკია საულო. შრომითი საქმეებით სახელი გაითქვეს ხურომ მიხეილ ჩურიკოვმა, ზეინკალ-მემონტაჟეთა ბრიგადირმა ივანე პალატინმა, შემლესავმა კონსტანტინე სკლიფოსმა, მებეტონემ ნიკოლოზ შიბაევმა, შემფიცვრელმა ვლადიმერ დუბჩაკმა და ასობით სხვა მუშამ. მემონტაჟეების მ. გავრილოვისა და ა. აკიშინის, ოსტატ პ. გოლოვის ბრიგადებმა ასამუშავებელი აგრეგატების აწყობა მოკლე ვადებში დაამთავრეს.

დუბოსარის ჰიდროსადგურის შენობა შეთავსებული ტიპისაა. თავისი პირდაპირი ფუნქციების შესრულების გარდა, იგი ამავე დროს წყალსაგდები ნაგებობაც არის, რის შედეგად ორი მალით შემცირდა წყალსაშვები კაშხალი. შეთავსებული ტიპის ჰესის პროექტის გამოყენებამ შესაძლებელი გახადა სახელმწიფოსათვის დაგვეზოგა 18 ათასი ტონა რკინაბეტონი.

მხოლოდ წელიწადნახევრის წინათ მშენებლობაზე ჩაასხეს პირველი კუბური მეტრი ბეტონი, ახლა კი დნესტრის ნოტას სერავს რკინაბეტონის წყალსაშვები კაშხალი, რომლის სიმაღლე საფუძვლიდან ამწისქვეშა ესტაკადამდე ათსართულიან სახლს უდრის. ესტაკადაზე მოძრაობენ მძლავრი ელექტროხიდურა ამწეები.

დუბოსარის ჰესის მშენებლობას დახმარებას უწევს მთელი ჩვენი ქვეყანა. სადგური მოწყობილია ურალზე დამზადებული გენერატორებით, უკრაინის ქარხნებიდან შემოტანილი ლითონკონსტრუქციებით, ლენინგრადისა და კიევის ელექტროაპარატურით. მშენებლობაზე მუშაობენ სხვადასხვა ეროვნების ადამიანები — რუსები და მოლდაველები, უკრაინელები და ბელორუსები, სომხები და ლატვიელები. ბევრმა მათგანმა დნესტრის ნაპირებზე მოიტანა დნეპრმშენზე, ჩირჩიკის მშენებლობაზე, უსტკამენოგორსკის, ციმლიანსკის, სვირისა და ჩვენი ქვეყნის სხვა ჰიდროსადგურებზე შეძენილი გამოცდილება.

დუბოსარის ჰესი დენს მისცემს კიშინოვს, ტირასპოლს, ორგეევს, მოლდაველთის სოფლებს. ჰესის იქსპლოატაციის უკვე პირველ ექვს წელიწადში სავსებით ანაზღაურდება მის აგებაზე დახარჯული სახსრები.

ახლა მშენებელთა წინაშე დგას საპატიო ამოცანა — მეორე კვარტალში საექსპლოატაციოდ გადასცენ დუბოსარის ჰიდროკვანძი მთელი სიმძლავრით. ჩვენი კოლექტივი არ დაიშურებს ძალებს, რომ ღირსეულად შეასრულოს სამშობლოს ეს დავალება. (საქდესი).

ციმენტრნები ყამირი და ნასვენი მიწებისათვის

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და ადგილობრივი საბჭოების არჩევნებთან დაკავშირებით ახალი, მძლავრი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობაა თბილისის ლითონის კონსტრუქციების ქარხანაში.

მელითონეები ამზადებენ სხვადასხვა მოცულობის ცისტერნებს, კასრებსა და ლითონის სხვა კონსტრუქციებს, რომლებიც იგზავნება როგორც საქართველოს, ისე რუსეთის მტს-ებში, ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების რაიონებში.

იანვრის პირველ დღეებში ქარხანამ უკვე გაგზავნა ბაშკირეთის ასს რესპუბლიკაში, სვერდლოვსკის, გორკისა და სხვა ოლქებში 17 ვაგონი ცისტერნები.

მეფეხსაცმელეთა პირველი წარმატება

თბილისის მოლოტოვის სახელობის მეორე ფეხსაცმლის კოლექტივმა გასული წლის საწარმოო გეგმა 5 დეკემბრისათვის გაანაღდა. დავალების გადამეტებით სახელმწიფოს მისცა 3.596 ათასი მანეთის პროდუქცია, შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით გაადიდა 8,6 პროცენტით, მნიშვნელოვნად შეაკვირა პროდუქციის თვითღირებულება. მეფეხსაცმელეებმა შრომითს წარმატებებს მიაღწიეს ახალი რეზერვების გამოყენებისა და ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესების შედეგად.

წარმოების ხელმძღვანელობამ, ინჟინერ-ტექნიკოსებმა მოწინავე მუშებთან ერთად გულდასმით შეამოწმეს ყველა შესაძლებლობა, დასახეს ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი ახალი სამეურნეო წლის პირველი დღიდანვე წარმატებითი მუშაობისათვის.

საამქროებში, ცვლებსა და ბრიგადებში ფართოდ გაჩაღდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს, მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნებისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრება.

ფაბრიკის კოლექტივმა იანვრის პირველი დეკადის დავალება გადაჭარბებით შეასრულა, გამოუშვა ბავშვის 13 ათასი წყვილი მაღალხარისხოვანი ფეხსაცმელი. შეჯიბრებაში დაწინაურდნენ მკერავთა ის ბრიგადები, რომლებსაც ხელმძღვანელობენ ზ. დემურია, ი. მურალოვი და ვ. ახვერდოვი.

მშრომელთა საუკეთესო წარმომადგენლები — საარჩევნო კომისიებში

სტალინირი. (საქ. კორ.). დიდი პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ვითარებაში დაიწყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადება სამხრეთ ოსეთში. შეიქმნა სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს არჩევნების 58 და სტალინირის საქალაქო საბჭოს არჩევნების 63 საარჩევნო ოლქი. შექმნილია აგრეთვე რაიონული და სასოფლო საბჭოების არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიები.

მშრომელებმა საოლქო საარჩევნო კომისიებში წარგზავნეს თავიანთი საუკეთესო წარმომადგენლები. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ავნევის საოლქო საარჩევნო კომისიაში შეყვანილია ზნაურის მტს-ის მოწინავე ტრაქტორისტი თ. ჯავახიშვილი. ავნეველმა კოლმეურნეებმა ამავე კომისიაში წარგზავნეს კოლმეურნეობის თავმჯდომარე რ. სიქტურაშვილი. ოლქში სახელგანთქმული წინაგრის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა საოლქო საარჩევნო კომისიაში დასახელეს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. ძუგაევი.

სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიებში შეყვანილი არიან: საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი ა. ლომდარიძე, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ი. შერაზადიშვილი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ო. გულიევა და სხვები.

გავაძლიეროთ პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობა

8 და 9 იანვარს გაიმართა საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო ორგანიზაციის XVIII კონფერენცია.

ხუთწლედების მანძილზე ქუთაისში აშენდა მანქანათმშენებელი, საფეიქრო, კვების მრეწველობისა და სხვა დარგების მრავალი საწარმო. ბუნებრივია, რომ მრეწველობისადმი ხელმძღვანელობის საკითხები კონფერენციის ყურადღების ცენტრში იყო. მომხსენებელმა — პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. რუხაძემ და კამათში გამოსულმა დელეგატებმა აღნიშნეს, რომ ქალაქის მრეწველობის პროდუქცია — ავტომობილები, ექსკავატორები, არტეზიული ტუმბოები, საბაგირო ვაგონეტები, ქსოვილი, ფეხსაცმელი, კონსერვები და სხვა საქონელი ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა კუთხეში იგზავნება. ყოველწლიურად იზრდება ქუთაისის საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა. 1954 წელს 1953 წელთან შედარებით პროდუქციის ზრდა 8.8 პროცენტს შეადგენს. მიუხედავად ამისა, ქალაქის მრეწველობამ შარშან წლიური გეგმა მხოლოდ 97,5 პროცენტით შეასრულა. გასული წლის დავალების შესრულებაში საგრძნობლად ჩამორჩნენ ისეთი მსხვილი საწარმოები, როგორიც არის საავტომობილო და შუშის ტარის ქარხნები.

დელეგატებმა ს. აბზიანიძემ, ე. შევარდნაძემ, ვ. გურენკომ დაწვრილებით ილაპარაკეს საავტომობილო ქარხნის მუშაობაზე, აღნიშნეს, რომ იგი უკვე სამ წელზე მეტია ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობას აწვდის „კაზ-585-ბ“ მარკის ავტომანქანებს, ძრავებსა და სათადარიგო ნაწილებს. საბჭოთა კავშირის მებამბეობის რაიონებს ქარხანამ მისცა საკუთარი კონსტრუქციის ავტომატარებელი, რომლის საქარხნო ვამოცდამ ქალაქ კიროვაბადში კარგი შედეგები მოგვცა. დაპროექტებული და აწყობილია ახალი კონსტრუქციის ორმხრივ თვითსაცლელი ავტომანქანა „კაზ-600“, იგი წარმატებით მუშაობს გუმათჰესის მშენებლობაზე. მაგრამ ქარხანა სამარცხვინოდ ჩამორჩება სახელმწიფო გეგმის შესრულებაში. ავტომანქანის „კაზ-585-ბ“ გამოშვების გასული წლის დავალება შესრულებულია 75,5 პროცენტით, ავტოსათადარიგო ნაწილების გამოშვებისა — 66,8 პროცენტით, ძრავების გამოშვებისა კი მხოლოდ 28 პროცენტით. ქარხანაში ხშირია საწარმოო და ტექნოლოგიური დისციპლინის დარღვევის შემთხვევები. მოუგვარებელია წარმოების ორგანიზაცია. საწარმოში შექმნილი ასეთი მდგომარეობა პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ცუდი მუშაობით აიხსნება. ქარხნის ხელმძღვანელობა (დირექტორი ბ. ბუკია, მთავარი ინჟინერი ვ. დავიდოვი) ნაკლებად ზრუნავს იმისათვის, რომ პრაქტიკაში დანერგოს შრომის მოწინავე მეთოდები, დროულად აითვისოს ავტომანქანების კვანძებისა და დეტალების წარმოება. მოუგვარებელია ავტომობილმშენებელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები.

პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტი და პირველ რიგში მისი მიუერთა არასაკმაო დახმარებას უწევდა საავტომობილო ქარხანას. ბიუროს არ წამოუყენებია რაიმე სერიოზული წინადადება საწარმოს ჩამორჩენის სალიკვიდაციოდ. საქალაქო კომიტეტის მუშაკები ანალიზს არ უკეთებდნენ გეგმის შეუსრულებლობის მიზეზებს, ზერელედ ხელმძღვანელობდნენ საწარმოს მუშაობას.

აბრეშუმკომბინატის დირექტორმა ამხ. ა. მიქელაძემ, მანქანათმშენებელი ქარხნის პარტბიუროს მდივანმა ამხ. დ. სვანაძემ, საკონსერვო ქარხნის დირექტორმა ამხ. ა. მაჭარაძემ კონფერენციაზე აღნიშნეს, რომ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის მოწინავე საწარმოთა კოლექტივების მოწოდების პასუხად ქუთაისის ფაბრიკა-ქარხნებში ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის.

დელეგატებმა დიდი ყურადღება მიაქციეს სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესების საკითხებს. მიუხედავად იმისა, რომ სამრეწველო კომბინატმა ერთი თვით ადრე შეასრულა გასული წლის გეგმა, მან ვერ უზრუნველყო დავალების განაღდება ასორტიმენტისა და ხარისხის მიხედვით. არადამაკმაყოფილებელია ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებში დამზადებული აგურის, კრამიტის, ალუმინის ჭურჭლისა და ქსოვილების ხარისხი. ქალაქში კვების რვა საწარმოა, მაგრამ ზოგიერთი მათგანი (ბურკომბინატი, ლუდის ქარხანა და სხვ.) ჯერ კიდევ ვერ იძლევა მაღალხარისხოვან პროდუქციას.

კონფერენციაზე ბევრი ითქვა სამშენებლო ორგანიზაციების მუშაობის შესახებ. ქალაქის შვიდ წამყვან სამშენებლო ორგანიზაციას გასულ წელს საექსპლოატაციოდ უნდა გადაეცა 11.013 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, ფაქტიურად გადაცემულია 11.047 კვადრატული მეტრი. მშენებელთა სრულიად საკავშირო თათბირის მოწოდება ბევრ რამეს ავალებს ქუთაისელ მშენებლებს. მომწიფდა იმის საჭიროება, რომ ქუთაისში აიგოს ქარხანა ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების წარმოებისათვის. სამშენებლო ორგანიზაციებს დიდ დაბრკოლებებს უქმნის „საქკომუნპროექტის“ ქუთაისის ფილიალი, რომელიც აჭიანურებს პროექტების შედგენას, ყურადღებას არ აქცევს ტიპურ დაპროექტებას, გატაცებული არიან შენობათა ფასადების არქიტექტურული გაფორმებით, რაც აძვირებს მოპირკეთების ღირებულებას.

დელეგატებმა მკაცრად გააკრიტიკეს იდეოლოგიური მუშაობის ნაკლოვანებები. ამხ. ვ. ირემაძემ, დ. მეგრელიშვილმა, ი. ბალანჩივაძემ და სხვებმა აღნიშნეს, რომ პარტიული ორგანიზაციები და პარტიის საქალაქო კომიტეტი ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ კადრების იდეურ-პოლიტიკური აღზრდის საქმეს. პოლიტსკოლებსა და წრეებში, საქალაქო კომიტეტთან არსებულ პარტიულ სკოლასა და მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტში გაერთიანებულია 2.234 კაცი, ხოლო მარქსისტულ-ლენინური თეორიას დამოუკიდებლად სწავლობს 3.784 კაცი. მაგრამ მათ მუშაობაზე ნაკლები კონტროლია დაწესებული. ეს განსაკუთრებით ითქმის წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეთა მიმართ. ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა ლექციურ პროპაგანდას. საგრძნობლად მოისუსტებს პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა სკოლებში, ტექნიკუმებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. კერძოდ, ამ მხრივ სერიოზული ნაკლოვანებანია წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის მუშაობაში.

ქუთაისი რესპუბლიკის კულტურის ერთ-ერთი დიდი ცენტრია. დელეგატებმა ილაპარაკეს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში და შემოქმედებით ორგანიზაციებში იდეოლოგიური მუშაობის ნაკლოვანებებზე, ამასთან ზევრი კრიტიკული შენიშვნა გამოთქვეს პარტიის საქალაქო კომიტეტის მისამართით. როგორც კონფერენციაზე აღინიშნა, საქალაქო კომიტეტის მდივნები კოლეგიალურად არ მუშაობდნენ. კადრების შერჩევის საქმეში დაშვებული იყო შეცდომები. სასადილოების ტრესტის დირექტორად ქალაქკომის ბიურომ დანიშნა მ. პირველი, რომელიც ტყიბულში მუშაობის დროს შემჩნეული იყო არაკეთილსინდისიერ საქმიანობაში. იყო შემთხვევები, როცა პარტიის საქალაქო კომიტეტი საწარმოებში კადრების შერჩევას ახდენდა პირველადი პარტიული ორგანიზაციების გვერდის ავლით. მანქანათმშენებელ ქარხანაში მუშათა მომარაგების განყოფილების უფროსად საქალაქო კომიტეტმა რეკომენდაცია მისცა ვინმე კიკნაძეს. ამის შესახებ პარტიულმა ორგანიზაციამ არ იცოდა.

საანგარიშო პერიოდში პარტიის საქალაქო კომიტეტში 2.525 განცხადება შევიდა, მაგრამ ყოველთვის როდი იჩენდნენ გულისხმიერებას მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების მიმართ. როგორც სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ა. თუთბერიძემ აღნიშნა, მ. ქურციძისა და შ. ლევნოზოვილის განცხადებები, რომლებიც საქალაქო კომიტეტში 1954 წლის იანვარში შევიდა, დღესაც პასუხგაუცემელია. ასევე უყურადღებოდ დარჩა ი. ალექსანდროვის სიგნალი, რომელიც მან 9 თვის წინათ შეიტანა საქალაქო კომიტეტში სამკერვალო ფაბრიკაში შრომისა და საწარმოო დისციპლინის დარღვევის შემთხვევების შესახებ.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. პ. მეჟავანაძემ.

კონფერენციამ აირჩია საქალაქო კომიტეტის ახალი შემადგენლობა და მომავალი მუშაობისათვის დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი.

• • •

შედგა პარტიის საქალაქო კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია ამხ. გ. რუხაძე, მეორე მდივნად — ამხ. ვ. ვადაჭკორია, მდივნად — ამხ. ს. ფხაკაძე.

გ. მეფისაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ქუთაისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის XVIII კონფერენცია

ლენტეხის რაიონში

ახალი მშენებლობანი

სულ უფრო ლამაზი და კეთილმოწყობილი ხდება რაიონული ცენტრი — სოფელი ლენტეხი. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში აქ აშენდა ადმინისტრაციული სახლი და რაიონული საავადმყოფო. წარმატებით მიმდინარეობს პოლიკლინიკისა და რაიასბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის ადმინისტრაციული სახლის მშენებლობა. ეს შენობები წელს გადაეცემა საექსპლოატაციოდ. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში 200 ათას მანეთზე მეტი დაიხარჯა რაიონული ცენტრის მოედნებისა და ქუჩების კეთილმოწყობაზე. მოკირწყლულ იქნა 2.500 კვადრატული მეტრი მოედნები და ქუჩები. ცენტრალური ქუჩას ორივე მხარეზე გაუკეთდა ტროტუარი.

ინდივიდუალური ბინები

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ინდივიდუალურ ბინათმშენებლობას. მარტო 1954 წელს ბინათმშენებლებმა სახელმწიფოსაგან 80 ათასი მანეთი კრედიტი მიიღეს. ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები აიშენეს მასწავლებლებმა, ექიმებმა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა, მათ შორის ცენტრალური ზოოვეტუბნის გამგემ, საქართველოს სსრ დამსახურებულმა ვეტერინარმა ექიმმა ა. დავითულიანმა.

მინერალური წყალი რაიონის ცენტრში

წარმატებით დამთავრდა წყალსადენის მშენებლობა, რაზეც 300 ათას მანეთამდე დახარჯა. რაიონული ცენტრის მუშა-მოსამსახურეებმა და ლენსუფრელმა კოლმეურნეებმა დეკემბრის პირველ რიცხვებში მიიღეს წყაროს ახალი წყალი. რაიონის ცენტრში ორი კილომეტრის მანძილიდან გამოყვანილია ლასკადურის მინერალური წყალი, რომელიც საუკეთესოა თავისი სამკურნალო თვისებებით.

საკოლმეურნეო სოფლების ელექტროფიკაცია

დიდი სამუშაოები შესრულდა საკოლმეურნეო სოფლების ელექტროფიკაციისათვის. უკანასკნელად აქ აშენდა საკოლმეურნეობათაშორისო სამი ელექტროსადგური. ამყარდა ილიჩის ნათურებით გაჩირაღდნებულია ჩიხარეშის, ჯახუნდრის, ჩოლურისა და რცხმილურის სასოფლო საბჭოებში შემავალი კოლმეურნეობები, მთლიანად ელექტროფიკაციებულია კოლმეურნეთა სახლების 80 პროცენტი.

თვითმოქმედი კოლექტივები კოლმეურნეობებში

ნაყოფიერად მუშაობს რაიონული კულტურის სახლთან შექმნილი სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, რომელშიც 60 კაცია გაერთიანებული. ასევე ნაყოფიერად მუშაობენ ჭველიერისა და შეედას კოლმეურნეობებთან შექმნილი ბომღერალ-მოცეკვავეთა კოლექტივები. მათი ძალებით მეზობელ კოლმეურნეობებში ხშირად იმართება საღამო-კონცერტები.

შ. გულბიანი.

ფართოვდება კოოპერაციული ვაჭრობის ქსელი

ქუთაისი. (საკ. კორ.). ქალაქში სულ უფრო და უფრო ფართოვდება კოოპერაციული ვაჭრობის ქსელი, რომელიც ოცზე მეტ მაღაზიასა და სავაჭრო წრტს აერთიანებს. „კოოპვაჭრობამ“ თავისი ფარდულები გახსნა ისეთი მსხვილი სამრეწველო საწარმოების ტერიტორიაზე, როგორიც არის საავტომობილო ქარხანა, აბრეშუმკომბინატი, მანქანათმშენებელი ქარხანა და სხვ.

„კოოპვაჭრობა“ ყოველდღიურად ასი ათასი მანეთის ხილს, ბოსტნეულს, ხორცს, ძეხვეულს და სხვა პროდუქტებს აწვდის მოსახლეობას. საკომისიო საქონლის რეალიზაციის გეგმა აქ 20 დეკემბრისათვის შესრულებულ, ნაცვლად 4.448.000 მანეთისა მოსახლეობას მიეყიდეს ნახევარი მილიონი მანეთის საქონელი.

კანცელარიიდან კანცელარიაში

ტყიბულში ამ ბოლო დროს მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელეს სახელმწიფო აპარატის მუშაობის გასაუმჯობესებლად. საგრძნობლად შემცირდა საწარმოებსა და დაწესებულებებში გაბერილი, ზედმეტი შტატები, გამარტივდა აღრიცხვა, იკლო უნაყოფო მიწერ-მოწერამ. ყოველივე ამის შედეგად ბევრი სპეციალისტი ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატიდან გადავიდა საწარმოში, იქ, სადაც უშუალოდ იქმნება მატერიალური ფასეულობანი.

სამთო ინჟინერი გ. გორგაძე, რომელიც წინათ ტყიბულქვანახშირის ტრესტის სამმართველო აპარატში მუშაობდა, გელათის შახტში გადავიდა მთავარ ინჟინრად. ამავე შახტში მგეგმავ ინჟინრად დაიწყო მუშაობა სამმართველო აპარატიდან გადასულმა ინჟინერმა უ. ლობჟანიძემ. შტატების შემცირებით და სამმართველო აპარატის მუშაობის გაუმჯობესებით ტყიბულის ქვანახშირის საწარმოები ათეულ ათას მანეთს დაუზოგავენ სახელმწიფოს მარტო ხელფასის ფონდიდან.

მაგრამ ამასთან ზოგი საწარმოს ხელმძღვანელი მმართველობის აპარატის გაუმჯობესებისათვის დასახულ ღონისძიებებს მორიდებით, გაუბედავად, ზანტად ახორციელებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა სამმართველო აპარატიდან განთავისუფლებული მუშაკების უშუალოდ შახტებში, საწარმოებში და მშენებლობებზე გამოყენებას. ეს უწინარეს ყოვლისა უნდა ითქვას ტყიბულქვანახშირისა და ტყიბულშახტმშენის ტრესტების შესახებ. ტყიბულქვანახშირის ტრესტის და მისი შახტების სამმართველოებიდან საწარმოებში სამუშაოდ გადასვლის სურვილი გამოთქვა 96 მუშამ. ტრესტის ხელმძღვანელობამ ამათგან უშუალოდ შახტებში გადაიყვანა 30 კაცი, 16 მუშაკი სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში გადავიდა, ხოლო დანარჩენებმა ამავე ტრესტის სხვა შახტების სამმართველოებში გადაინაცვლეს. სტალინის სახელობის შახტის უფროსმა ი. ვოლობუევმა საშახტო მმართველობის აპარატიდან 7 კაცი გადაიყვანა შახტში სამუშაოდ, ხოლო 4 კაცი გაგზავნა სასწავლო კომბინატში. შემდეგ აღმოჩნდა, რომ ბევრი მათგანი ისევ ძველ ადგილს კანცელარიაში იჯდა და მუშაობდა. ალბათ, ეს ამ შახტ[illegible] ტიდან განთავისუფლებული მუშაკები. მაგალითად, ტყიბულქვანახშირის ტრესტის სისტემაში მრავალი წლის განმავლობაში მექანიზებული აღრიცხვის ინსტრუქტორად მუშაობდა ვ. კოლესნიკოვი, თუმცა ამ ტრესტში ჯერაც არავის უნახავს, რა არის მექანიზებული აღრიცხვა. ახლა ვ. კოლესნიკოვი ტრესტის ხელმძღვანელობამ გაგზავნა სტალინის სახელობის შახტში, სადაც იგი მექანიზებული აღრიცხვის ოპერატორად დანიშნეს, მაგრამ რაკი ასეთი აღრიცხვა არც შახტში აქვთ, ამიტომ იძულებული გახდნენ იგი სხვა საკანცელარიო საქმეზე გამოეყენებინათ.

არის მუშაკების უმართებულოდ გადაყვან-გადმოყვანის შემთხვევებიც. მაგალითად, ტყიბულის ქვანახშირის ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკის ადმინისტრაციამ ბუხჰალტრობიდან გაათავისუფლა კომკავშირელი ქალი ლ. ბარსეღიანი, რომლის მაგიერ იმავე თანამდებობაზე მოიწვიეს ფაბრიკის საბინაო-კომუნალური განყოფილების აპარატიდან განთავისუფლებული მუშები.

ასეთივე მდგომარეობაა ტყიბულშახტმშენის ტრესტშიც. ამ ტრესტის სისტემიდან 34 კაცმა გამოთქვა სამმართველოდან უშუალოდ საწარმოში გადასვლის სურვილი, მაგრამ მათგან ფაქტიურად მხოლოდ მცირე ნაწილი გაიგზავნა უშუალოდ შახტებში და მშენებლობებზე, სადაც საჭიროა დამატებითი მუშახელი.

ეს ნაკლოვანებები იმით ბიხსნება, რომ ადგილობრივი პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები სამმართველო აპარატის გაუმჯობესებისათვის დასახულ ღონისძიებათა განხორციელებაში ნეიტრალობის გზას დაადგნენ, ჩაურევლობას ამჯობინებენ. არც ერთი შახტისა და სამმართველოს პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციამ არ მოაწყო სათანადო პოლიტიკური და ახსნაგანმარტებითი მუშაობა იმისათვის, რომ შეექმნათ საზოგადოებრივი აზრი სამმართველო აპარატიდან წარმოებაში სპეციალისტებისა და მუშაკების გადასვლის სასარგებლოდ.

ვ. ცირეკიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„ზამთარში შეუფერხებელი მუშაობისათვის“

ამ სათაურით „კომუნისტის“ 8 ოქტომბრის ნომერში დაიბეჭდა წერილი, რომელიც ეხებოდა ჭიათურის მარგანეცის ტრესტის ნაკლოვან მზარეულს.

წერილი ზომების მისაღებად რედაქციამ გადაუგზავნა საქართველოს კომპარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტს.

საქართველოს კპ ჭიათურის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. შ. ხიდაშელი ამ წერილთან დაკავშირებით რედაქციას ატყობინებს, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. საქალაქო კომიტეტის ბიურომ განიხილა აღნიშნული საკითხი და დასახა საჭირო ღონისძიებანი.

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

წულუკიძის რაიონის სოფელ კინჩხის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში საკოლმეურნეო წესდებას არღვევენ, საკოლმეურნეო ქონებას ანაგავებენ, კოლმეურნეობის გამგეობა სუსტად მუშაობს, — სწერდა რედაქციას სოფლკორი.

წერილი ზომების მისაღებად საქართველოს კომპარტიის წულუკიძის რაიკომს გადაეგზავნა. რაიკომი გვატყობინებს, რომ ფაქტები დადასტურდა. ბ. ბუაძე, როგორც სუსტი ხელმძღვანელი, განთავისუფლებულ იქნა კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობისაგან და მას პარტიული სასჯელი დაედო.

გავაუმჯობესოთ სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის გამოცემა

კომუნისტური პარტია დიდ ყურადღებას აქცევს სოფლის ყველა მშრომელის შეიარაღებას სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების საფუძვლებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ნოვატორთა გამოცდილების ცოდნით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შემდეგ რესპუბლიკის გამომცემლობებმა გაადიდეს სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის გამოშვება. სახელგამმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობამ, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო პროპაგანდისა და მეცნიერების მთავარმა სამმართველომ და პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელმა რესპუბლიკურმა საზოგადოებამ გამოსცეს სოფლის მეურნეობის მუშაკთა ფართო წრეებისათვის განკუთვნილი მთელი რიგი სასარგებლო წიგნები და ბროშურები. სექტემბრის პლენუმის შემდეგ განვლილ პერიოდში მნიშვნელოვანი მუშაობაა გაწეული სამწლიანი აგროზოოტექნიკური კურსებისათვის სახელმძღვანელოებისა და პროგრამების შესადგენად და გამოსაცემად.

მაგრამ მიღწეული დონე ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნილებას სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურაზე, სოფლის მეურნეობის საკითხებზე ლიტერატურის გამოცემაში სერიოზული ნაკლოვანებებია.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს პოლიგრაფიის და გამომცემლობების საქმეთა მთავარ სამმართველოსა და სახელგამში დამყარდა არასწორი პრაქტიკა — წინა წლებში გამოუცემლად დარჩენილ სახელწოდებებს ალარ გადასინჯავენ ხოლმე და არ შეაქვთ მიმდინარე წლის თემატიკურ გეგმაში. ამის შედეგად იქმნება ისეთი მდგომარეობა, რომ გამომცემლობები და სტამბები ძირითადად მუშაობენ ძველი თემატიკური გეგმებით გათვალისწინებულ წიგნებზე. ამ მიზეზის გამო გასაყიდად ზოგჯერ გამოდის ისეთი წიგნები, რომელთა შინაარსი მოძველებულია. 1954 წლის ოქტომბერში სახელგამმა ვეტერინარული უმაღლესი სასწავლებლებისა და ფაკულტეტებისათვის ქართულად გამოსცა პროფესორ ა. დოხროხოტოვის სახელმძღვანელო „კერძო მეცხოველეობა“. გამომცემლობის მიზეზით ამ სახელმძღვანელოს ქართული თარგმანი გამოიცა რუსულ ენაზე გამოცემიდან ხუთი წლის გასვლის შემდეგ.

გასულ წელს სახელგამმა გამოსცა 92 სახელწოდების სასოფლო-სამეურნეო წიგნები, ბროშურები და ინსტრუქციები 236,5 ათასი ეგზემპლარი საერთო ტირაჟით. მაგრამ მათი ნახევარი წარმოადგენს ისეთ ლიტერატურას, რომელიც 1953 წელს უნდა გამოცემულიყო. დაგეგმილი 119 სახელწოდებიდან გამომცემლობამ გამოუშვა 46 სახელწოდება და, ამრიგად, სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის გამოცემის თემატიკური გეგმა შეუსრულებელი დარჩა. 1954 წლის გეგმით გათვალისწინებული 16 სახელწოდების ბროშურიდან მოწინავე გამოცდილების შესახებ გამოცემულია მხოლოდ ორი.

არსებითი შეცდომებია დაშვებული სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის თემატიკის დაგეგმვისა და ავტორების შერჩევის დროს. ამ საქმეში სახელგამი ძირითადად ემყარება საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა სასოფლო-სამეურნეო პროპაგანდისა და მეცნიერების მთავარ სამმართველოს, არ იჩენს აქტივობასა და დამოუკიდებლობას ავტორთა წრის გათვითოებაში, ჯეროვნად ვერ იზიდავს წიგნების შესადგენად მეცნიერებს, სპეციალისტებს და სოფლის მეურნეობის მოწინავეებს. გამომცემლობის დარგობრივ რედაქციას სუსტი კავშირი აქვს კოლმეურნეობებთან, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებთან, საბჭოთა მეურნეობებთან, საცდელ სადგურებთან, სასოფლო-სამეურნეო უმაღლეს სასწავლებლებთან და სამეცნიერო-საკვლევ انსტიტუტებთან. მისი რედაქტორები არ დადიან ადგილებზე, რომ დახმარება გაუწიონ ავტორებს და, უწინარეს ყოვლისა, სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოწინავეებს მათი მუშაობის გამოცდილების შესახებ წიგნების დაწერაში.

გამომცემლობები ცოტას უშვებენ წიგნებს სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის, სასოფლო-სამეურნეო მელიორაციის საკითხებზე. გამოცემულ ლიტერატურაში სრულიად არასაკმარისად არის გაშუქებული მთაგორიან ადგილებში მიწათმოქმედების განვითარების საკითხები. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში არ გამოცემულა არც ერთი წიგნი საბჭოთა მეურნეობებში წარმოების ორგანიზაციის შესახებ.

სახელგამი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გამომცემლობა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო პროპაგანდისა და მეცნიერების მთავარი სამმართველო სუსტად იბრძვიან მოწინავე გამოცდილების შესახებ ლიტერატურის შინაარსის გაუმჯობესებისათვის, მისი მეცნიერული დონის ამაღლებისათვის. ხშირად ავტორები „მაყოფილდებიან ფაქტების უბრალო ჩამოთვლით. ასეთი ლიტერატურა დიდად ვერ უწყობს ხელს გამოცდილების გავრცელებას და ბარდა ამისა იგი მალე ძველდება. ბევრი წიგნისა და ბროშურის მთავარი ნაკლი ის არის, რომ მათში არასაკმაოდ არის გაშუქებული მუშაობის ახალი ხერხებისა და მეთოდების არსი, ნაჩვენები არ არის, თუ როგორ უნდა დაინერგოს წარმოებაში ეს ხერხები. ზოგიერთი ბროშურა, როგორც, მაგალითად, დ. ფაილოძის „აფხაზეთის მოწინავე მეციტრუსეები“, ა. ბუჯიაშვილის „ხორბლის მაღალი მოსავლის კაჩრეთელი ოსტატები“, ტ. ქვლივიძის „ფართოდ დავნერგოთ ხბოების გაზრდის მოწინავე მეთოდები კოლმეურნეობათა მეცხოველეობის ყველა ფერმაში“, აღწერილობითი ხასიათისაა.

მაგალითად, ბროშურაში „ხორბლის მაღალი მოსავლის კაჩრეთელი ოსტატები“, ნათქვამია, რომ მემინდვრეობის ბრიგადებმა, რომლებსაც ი. ვარაზაშვილი, პ. ნანუაშვილი, შ. ბაკანაძე ხელმძღვანელობენ, ხორბლის მაღალი მოსავლის მოყვანის საკმაოდ მდიდარი გამოცდილება შეიძინეს. მაგრამ როდესაც ბროშურას წაიკითხავთ, რწმუნდებით, რომ ამ ბრიგადების მთელი გამოცდილება ამოიწურება იმით, რომ ისინი კარგად ახორციელებენ აგროწესებით გათვალისწინებულ ღონისძიებებს. ბროშურის ავტორი ი. ვარაზაშვილს ასე ალაპარაკებს: „ჩვენს ბრიგადას ხორბლის მაღალი მოსავლის მიღებად არ ჩაუტარებია რაიმე განსაკუთრებული ღონისძიება. ჩვენ განვახორციელეთ მხოლოდ ის ღონისძიებანი, რომლებიც გათვალისწინებულია არსებული აგროწესებით, მაგრამ ისინი კარგად განვახორციელეთ“.

ავტორი არა მარტო აღარიბებს კაჩრეთის რაიონის მოწინავე კოლმეურნეთა გამოცდილებას, არამედ შეცდომასაც უშვებს. ნიადაგის და სხვა პირობების გაუთვალისწინებლად, რომლებიც ხშირად განსხვავდებიან ერთი რაიონის ფარგლებშიც კი, აგროტექნიკურ ღონისძიებათა შაბლონურად განხორციელება ვფიქრობთ ვერ მოგვცემს ეფექტიან შედეგს.

უნდა აღინიშნოს, რომ წიგნები მოწინავე გამოცდილების შესახებ ხშირად სავსეა მრავალი ციფრობრივი მონაცემებით, რომლებიც ხელს უშლის მკითხველს ჩასწვდეს საქმის არსს. ხშირად ეს წიგნები მძიმე, კანცელარიული ენით იწერება. სოფლის მშრომელთათვის განკუთვნილ ლიტერატურაში ძალიან იშვიათად შეხვდებით ანდაზებს, მოსწრებულ სიტყვებს, ხატოვან გამოთქმებს, რომლებითაც ასე მდიდარია ჩვენი ხალხური მეტყველება. სოფლის მეურნეობას შესახებ ლიტერატურის ხარისხის ასამაღლებლად საჭიროა არსებითი შესწორებების შეტანა ხელნაწერთა მომზადების პრაქტიკაში. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო პროპაგანდისა და მეცნიერების მთავარი სამმართველოს ამ შეტანილ[illegible] ტიდან განთავისუფლებული მუშაკები. მაგალითად, ტყიბულქვანახშირის ტრესტის სისტემაში მრავალი წლის განმავლობაში მექანიზებული აღრიცხვის ინსტრუქტორად მუშაობდა ვ. კოლესნიკოვი, თუმცა ამ ტრესტში ჯერაც არავის უნახავს, რა არის მექანიზებული აღრიცხვა. ახლა ვ. კოლესნიკოვი ტრესტის ხელმძღვანელობამ გაგზავნა სტალინის სახელობის შახტში, სადაც იგი მექანიზებული აღრიცხვის ოპერატორად დანიშნეს, მაგრამ რაკი ასეთი აღრიცხვა არც შახტში აქვთ, ამიტომ იძულებული გახდნენ იგი სხვა საკანცელარიო საქმეზე გამოეყენებინათ.

არის მუშაკების უმართებულოდ გადაყვან-გადმოყვანის შემთხვევებიც. მაგალითად, ტყიბულის ქვანახშირის ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკის ადმინისტრაციამ ბუხჰალტრობიდან გაათავისუფლა კომკავშირელი ქალი ლ. ბარსეღიანი, რომლის მაგიერ იმავე თანამდებობაზე მოიწვიეს ფაბრიკის საბინაო-კომუნალური განყოფილების აპარატიდან განთავისუფლებული მუშები.

ასეთივე მდგომარეობაა ტყიბულშახტმშენის ტრესტშიც. ამ ტრესტის სისტემიდან 34 კაცმა გამოთქვა სამმართველოდან უშუალოდ საწარმოში გადასვლის სურვილი, მაგრამ მათგან ფაქტიურად მხოლოდ მცირე ნაწილი გაიგზავნა უშუალოდ შახტებში და მშენებლობებზე, სადაც საჭიროა დამატებითი მუშახელი.

ეს ნაკლოვანებები იმით ბიხსნება, რომ ადგილობრივი პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები სამმართველო აპარატის გაუმჯობესებისათვის დასახულ ღონისძიებათა განხორციელებაში ნეიტრალობის გზას დაადგნენ, ჩაურევლობას ამჯობინებენ. არც ერთი შახტისა და სამმართველოს პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციამ არ მოაწყო სათანადო პოლიტიკური და ახსნაგანმარტებითი მუშაობა იმისათვის, რომ შეექმნათ საზოგადოებრივი აზრი სამმართველო აპარატიდან წარმოებაში სპეციალისტებისა და მუშაკების გადასვლის სასარგებლოდ.

ვ. ცირეკიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილე.

კომუნისტები თუჯის წარმოების ათვისებისათვის ბრძოლაში

სამრეწველო ნაწარმის სექციის გამგე ამ. ბაბაევს დახლქვეშ აღმოუჩინეს 34 ათასი მანეთი ნაღდი ფული. ქალაქ თბილისის მილიციის სამმართველოს სპეკულაციასთან და სოციალისტური საკუთრების დატაცებასთან ბრძოლის განყოფილების მუშაკები გ. მ. ბიაშვილი და მ. ს. მეტრეველი, რომლებიც შემოწმებას ახდენდნენ საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის დავალებით, ამ ფაქტის გამოსაძიებლად საჭირო ზომების მიღებისა და დამნაშავეთა სისხლის სამართლის წესით პასუხისგებაში მიცემის ნაცვლად, შეუთანხმდნენ უნივერმაღის დირექტორს თ. დ. კიკნაძეს და მის მოადგილეს ნ. ა. ხინთიბიძეს და მათი თხოვნით მოსპეს აქტი.

ამ უნივერმაღში საბჭოთა ვაჭრობის წესების დარღვევას სისტემატური ხასიათი ჰქონდა.

პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტმა, განიხილა რა ეს საკითხი, საბჭოთა ვაჭრობის წესების სისტემატურად დარღვევის, ბოროტმოქმედთა მფარველობისა და არაგულწრფელობისათვის თ. დ. კიკნაძე მოხსნა სამუშაოდან და გარიცხა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებიდან.

უნივერმაღის დირექტორის მოადგილე ნ. ა. ხინთიბიძეც მოხსნილია სამუშაოდან.

სამსახურებრივი მოვალეობისადმი დანაშაულებრივი დამოკიდებულებისა და თბილმრეწვაჭრობის უნივერმაღში დახლქვეშ 34 ათასი მანეთის აღმოჩენის ფაქტის დაფარვისათვის ქალაქ თბილისის მილიციის სამმართველოს სპეკულაციასთან და სოციალისტური საკუთრების დატაცებასთან ბრძოლის განყოფილების ოპერრწმუნებული გ. მ. ბიაშვილი მოხსნილია სამუშაოდან და გარიცხულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებიდან, ხოლო ამავე განყოფილების მუშაკი მ. ს. მეტრეველი მოხსნილია სამუშაოდან და გარიცხულია საკავშირო ალკკ რიგებიდან.

აღნიშნულ პირთა საქმე გადაეცა სამომძიებლო ორგანოებს სისხლის სამართლის წესით პასუხისგებაში მისაცემად.



ზამთრის კარგ ამინდს ხელსაყრელად იყენებენ გურჯაანელი მევენახეები და თავდადებით შრომობენ ყურძნის მოსავლიანობის შემდგომ გასადიდებლად. გაჩაღებულია ნიადაგის პლანტაჟი ახალი ვენახის გასაშენებლად. სურათზე: სავენახე ნიადაგის პლანტაჟი გურჯაანის რაიონის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობაში.

ფოტო შ. გოქაძისა.

★

ᲓᲣᲨᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲞᲐᲡᲣᲮᲝ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ ᲒᲣᲜᲘᲑᲔᲚᲔᲑᲡ

როგორც ცნობილია, საქართველოს სსრ დუშეთის რაიონის და დაღისტნის ასსრ გუნიბის რაიონის კოლმეურნეთა შორის გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება სოფლის მეურნეობის ყველა დარგის, განსაკუთრებით მეცხოველეობის მკვეთრი აღმავლობის მისაღწევად. ეს შეჯიბრება ფართო ხასიათს იღებს.

შეჯიბრების გაჩაღებით გახარებულმა გუნიბელმა მეცხოველეებმა დუშელ კოლმეურნეებს მიმართეს წერილებით, რომლებიც დაბეჭდილი იყო „კომუნისტის“ 16 დეკემბრის ნომერში.

გუნიბელთა წერილები განიხილეს დუშელმა კოლმეურნეებმა და მათ საპასუხო წერილები გაუგზავნეს.

გუნიბის რაიონის სოფელ ჭოხის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ამხ. ი. ისლამოვისათვის დუშეთის რაიონის გუდამაყრის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ამხ. ნ. მეთურიშვილის მიერ გაგზავნილ წერილში ნათქვამია: „თქვენმა წერილმა დიდი სიხარული გამოიწვია ჩვენი კოლმეურნეობის წევრთა შორის. როგორც კი საშუალება გვექნება. ჩამოვალთ ჭოხში, გავეცნობით თქვენს მუშაობას და კონკრეტულ ვალდებულებებს ვიკისრებთ. თქვენც გვიწვიეთ საქართველოში. გულთბადი სალამი და კეთილი სურვილები გადაეცით თქვენი კოლმეურნეობის ყველა წევრს“...

ასეთივე გულთბილი, მეგობრული წერილები გაუგზავნეს დუშეთის რაიონის სოფელ მაქართის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ა. ქავთარაძემ და ამავე რაიონის სოფელ მლეთის კოლმეურნეობის მწველავმა მ. სეთურიძემ გუნიბის რაიონის სოფელ სოგრატლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს გ. მუსაევს და კოლმეურნეობის ფერმის ძროხების მწველავს გაჯიიან ციხილოვას.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲘᲡ ᲬᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲐᲗᲐ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ

ᲐᲠᲥᲘᲕᲘ ᲓᲐᲛᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲘ

ამას წინათ თბილმრეწვაჭრობის უნივერმაღის (დირექტორი თ. დ. კიკნაძე) შემოწმების დროს გამომჟღავნებულ იქნა საბჭოთა ვაჭრობის წესების უხეშად დარღვევის ფაქტი.

ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲛᲘᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲬᲔᲡᲘᲗ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲒᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲘᲪᲔᲛᲘᲡ ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ ᲐᲠᲐᲒᲣᲚᲬᲠᲤᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲒᲣᲚᲬᲠᲤᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ Თ. Დ. ᲙᲘᲙᲜᲐᲫᲔ ᲛᲝᲮᲡᲜᲐ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲓᲐᲜ ᲓᲐ ᲒᲐᲠᲘᲪᲮᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲠᲘᲒᲔᲑᲘᲓᲐᲜ.

ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲛᲐᲦᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔ Ნ. Ა. ᲮᲘᲜᲗᲘᲑᲘᲫᲔᲪ ᲛᲝᲮᲡᲜᲘᲚᲘᲐ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲓᲐᲜ.

ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲑᲘᲚᲛᲠᲔᲬᲕᲕᲐᲭᲠᲝᲑᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲛᲐᲦᲘᲡ ᲓᲐᲮᲚᲥᲕᲔᲨ 34 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲘᲡ ᲤᲐᲥᲢᲘᲡ ᲓᲐᲤᲐᲠᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲘᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲞᲔᲙᲣᲚᲐᲪᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲡᲐᲙᲣᲗᲠᲘᲡ ᲓᲐᲢᲐᲪᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ Გ. Მ. ᲑᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ Მ. Ს. ᲛᲔᲢᲠᲔᲕᲔᲚᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲐᲡ ᲐᲮᲓᲔᲜᲓᲜᲔᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲘᲗ, ᲐᲛ ᲤᲐᲥᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲫᲘᲔᲑᲚᲐᲓ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲖᲝᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔᲗᲐ ᲜᲘᲡᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲬᲔᲡᲘᲗ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲒᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲘᲪᲔᲛᲘᲡ ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ, ᲒᲐᲠᲘᲪᲮᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲠᲘᲒᲔᲑᲘᲓᲐᲜ.

ᲛᲘᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲞᲔᲙᲣᲚᲐᲪᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲡᲐᲙᲣᲗᲠᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲓᲐᲢᲐᲪᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲘ Მ. Ს. ᲛᲔᲢᲠᲔᲕᲔᲚᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲐᲡ ᲐᲮᲓᲔᲜᲓᲜᲔᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲘᲗ, ᲐᲛ ᲤᲐᲥᲢᲘᲡ ᲓᲐᲤᲐᲠᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲘᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲞᲔᲙᲣᲚᲐᲪᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲡᲐᲙᲣᲗᲠᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲓᲐᲢᲐᲪᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ Გ. Მ. ᲑᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲛᲝᲮᲡᲜᲘᲚᲘᲐ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲓᲐᲜ ᲓᲐ ᲒᲐᲠᲘᲪᲮᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲠᲘᲒᲔᲑᲘᲓᲐᲜ, ᲮᲝᲚᲝ ᲐᲛᲐᲕᲔ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲘ Მ. Ს. ᲛᲔᲢᲠᲔᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲮᲡᲜᲘᲚᲘᲐ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲓᲐᲜ ᲓᲐ ᲒᲐᲠᲘᲪᲮᲣᲚᲘᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲐᲚᲙᲙ ᲠᲘᲒᲔᲑᲘᲓᲐᲜ.

ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚ ᲞᲘᲠᲗᲐ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲒᲐᲓᲐᲔᲪᲐ ᲡᲐᲛᲐᲛᲫᲘᲔᲑᲚᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲬᲔᲡᲘᲗ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲒᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲘᲪᲔᲛᲐᲓ.

ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲦᲚᲔᲑᲝ «ᲬᲕᲠᲘᲚᲛᲐᲜᲔᲑᲘ»

უᲓᲐᲠᲓᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲐᲓ...

ზაფხულშიც კი, რამდენჯერაც წვიმა მოვიდა, იმდენჯერ თანამშრომლებს თვალი გამოზნექილი კედლისა და ჭერისაკენ ჰქონდათ მიპყრობილი, საქმისათვის მოსული მოქალაქენი თავს შეურაცხყოფილად თვლიდნენ, ცხარობდნენ:

— რა ზრდილობაა, თვალს გვარიდებთ, სულ ჭერში იცქირებით!

— ბოდიში, გეთაყვა, ჭერის ჩამონგრევისა გვეშინია!

ერთხელ, სწორედ ასეთი საუბრის დროს, ვიღაც დიასახლისი მეტისმეტად ანერვიულდა:

— ლაქიანი ქაღალდი რატომ მომეცით, როგორღა შევავსო?

— განა ჩვენი ბრალია?! — დაუწყო დამშვიდება მილიციის მუშაკმა. მოქალაქემ დაცინვით გადახედა დერეფანში გაკრულ პლაკატს, რომელიც წესრიგისა და სისუფთავის დაცვისაკენ მოუწოდებდა.

მილიციის თბილისის სამმართველოსა და მოლოტოვის რაისაბჭოს აღმასკომში მრავალი სიგნალი შევიდა მილიციის მეცხრე განყოფილების საპასპორტო ოთახის შესახებ. ამ სიგნალებში აღწერილია კედლების, იატაკის და ჭერის საავალალო მდგომარეობა.

— ასეთი წვრილმანებისათვის ჯერ არა გვცალია, ზამთარიც ცუდი არ არის, მალე გაივლის, — იყო ჩვეულებრივი პასუხი.

დაპირებებში გადიოდა დრო...

მაგრამ დახეთ უბედურებას. ამას წინათ ერთ დღეს წვიმამ იმატა. საპასპორტო ოთახში რიღაცამ დაიქუხა, უეცრად ჭერი მოწყდა და ოთახში ყველაფერი აირ-დაირია. დიდხანს გრუხუნებდა დაბზარული კედლები...

— მეტს არც გავაცხელებს და არც გაგაციებს!— ძლივს ამოილუღლუღეს ბედზე გადარჩენილმა თანამშრომლებმა.

მოლოტოვის რაისაბჭოს აღმასკომისა და თბილისის მილიციის სამმართველოს ხელმძღვანელები ერთმანეთს ტელეფონით ეძახიან, გაოცებით მზრებს იჩეჩენ.

— საოცარია, როგორ მოხდა ეს სამარცხვინო ამბავი?!..

პასუხი ერთია: უდარდელობისა და ბიუროკრატიზმის შედეგად.

Ა. ᲮᲬᲕᲐᲕᲔᲚᲘ.

ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲡᲐᲖᲐᲛᲗᲠᲝ ᲐᲠᲓᲐᲓᲔᲒᲔᲑᲘ

გუშინ, 11 იანვარს, დაწყებით, არასრულ და საშუალო სკოლებში საზამთრო არდადეგების შემდეგ განახლდა მეცადინეობა.

მხიარულად და შინაარსიანად გაატარეს საზამთრო არდადეგები დედაქალაქის ბავშვებმა. თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში, საქართველოს ხელოვნების მუზეუმთა სახლში, თბილისის მასწავლებლის სახლში, აგრეთვე დედაქალაქის ყველა კლუბში, სკოლაში, საწარმო-დაწესებულებების წითელ კუთხეებში მოწყობილ ნაძვისხეებთან ათასობით ბავშვი ერთობოდა. მათთვის ყოველდღიურად იმართებოდა კონცერტები, რომლებშიც მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიისა და დედაქალაქის თეატრების მსახიობები. ეწყობოდა შეხვედრები წარმოების ნოვატორებთან, მეცნიერებთან, მსახიობებთან, ხელოვნების მუშაკებთან.

საქართველოს პროფსაბჭომ თბილისელი პიონერებისა და მოსწავლეებისათვის რკინიგზელის სახლში და პლეხანოვის სახელობის კლუბში მოაწყო საქალაქო ნაძვისხეები, სადაც 26.200 ბავშვმა იმხიარულა და მიიღო საახალწლო საჩუქრები.

არდადეგების დღეებში დილის წარმოდგენების დროს მოსწავლეებით იყო სავსე თბილისის თეატრები, ცირკი, კინოთეატრების დარბაზები.

თბილისის საეკსკურსიო ბაზის მიერ მოწყობილ სხვადასხვა ექსკურსიაში მონაწილეობა მიიღო 600-ზე მეტმა მოსწავლემ. ბავშვებმა ინახულეს დედაქალაქის დირსშესანიშნაობანი, იყვნენ ქ. გორში, სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანაში.

ექსკურსიებში მონაწილეობა მიიღეს ქუთაისიდან, სტალინირიდან, ადიგენიდან, მცხეთიდან და რესპუბლიკის სხვა რაიონებიდან ჩამოსულმა მოსწავლეებმა.

ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲡᲕᲚᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲡᲔᲡᲘᲐ

ამ დღეებში სამტრედიის რაიონის სოფელ იანეთის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში საქართველოს მეცხოველეობის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა გამართა გაფართოებული სამეცნიერო სესია. სესიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ვეტერინარიის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა და სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის საკავშირო ინსტიტუტის თბილისის ფილიალმა, მტს-ების მუშაკებმა, კოლმეურნეობების თავმჯდომარეებმა, მეცხოველეობის ფერმების გამგეებმა, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მასწავლებლებმა და სხვ.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა ინსტიტუტის დირექტორმა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორმა პროფესორმა ა. ნატროშვილმა. მოხსენება დასავლეთ საქართველოს დაბლობი ნაწილის რაიონების კოლმეურნეობებში საკვები ბაზის მდგომარეობის შესახებ წაიკითხა დოცენტმა გ. რცხილაძემ. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატებმა ნ. გოცირიძემ და თ. კვაშილმა ილიამარკეს მეცხოველეობის მდგომარეობის გუთმჯობესებისა და ზაფხულის პერიოდში პირუტყვის ბაგურ-ბანაკურ შენახვაზე გადაყვანის შესახებ. მეფერნველეობის განვითარების აქტუალურ საკითხებზე მოხსენება წაიკითხა ვეტერინარულ მეცნიერებათა კანდიდატმა ა. კაჭახიძემ. სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის ინსტიტუტის მეცნიერმა მუშაკმა ზ. ოქრუაშვილიძემ წაიკითხა მოხსენება მეცხოველეობის შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის შესახებ.

სესიამ დასახა ღონისძიებანი მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისა და პროდუქტიულობის ამაღლების დარგში.

ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲡᲕᲚᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲡᲔᲡᲘᲐ

ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ

„ᲫᲛᲝᲑᲘᲡ ᲮᲘᲓᲘ“

სოციალისტური რეალიზმის ფუძემდებელი მაქსიმ გორკი მოუწოდებდა საბჭოთა მწერლებს ურთიერთთარგმნის გზით ყოველმხრივ შეეწყოთ ხელი ჩვენი სამშობლოს მომძმე ხალხთა კიდევ მეტად დაახლოებისა და დამეგობრების დიადი საქმისათვის. ამ თანამეგობრობაში მკაფიო გამოხატულებას პოულობს კომუნისტური პარტიის ბრძნული ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკა, ჩვენს სამშობლოში სამუდამოდ დამკვიდრებული ხალხთა ურღვევი ძმობა და მეგობრობა.

ხალხთა მეგობრობის, შემოქმედებითი გამოცდილების ერთმანეთისათვის გაზიარების, ურთიერთპატივისცემის ფაქტია ის, რომ საქართველოს სსრ გამომცემლობებმა ქართულ ენაზე გამოსცეს სომხური ეპოსი „დავით სასუნელი“, სომეხი კლასიკოსებისა და თანამედროვე მწერლების — აღ. შირვანზადეს, ოვ. თუმანიანის, ა. ისაკიანის, ა. აკოფიანის, წ. თორგომიანის, ო. ღუკასიანის და სხვათა ნაწარმოებები.

სომხეთში ამ უკანასკნელ წლებში ითარგმნა და სომხურ ენაზე გამოცემულია შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, ილ. ჭავჭავაძის, აღ. ყაზბეგის, ლ. ქიაჩელის, ი. გრიშაშვილის, კ. გამსახურდიას, ა. ჭელიშვილის, მიხ. მრევლიშვილისა და სხვა მწერლების ნაწარმოებები.

სომეხი და ქართველი ხალხების დიადი შემოქმედებითი თანამეგობრობის მკაფიო გამოხატულებას წარმოადგენს აგრეთვე თბილისში მცხოვრებ სომეხი მწერლების მხატვრული ნაწარმოებთა კრებული „ძმობის ხიდის“ გამოცემა ქართულ ენაზე.

ამ კრებულში მოთავსებულ ნაწარმოებთა ძირითადი თემები და წამყვანი ტენდენციები განისაზღვრება პირველ რიგში საბჭოთა ადამიანების ცხოვრებით, მათი უანგარო ბრძოლით კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის, ჩვენი გმირული თანამედროვეობის — ქალაქისა და სოფლის მშრომელთა, საბჭოთა ინტელიგენციის დიადი საქმეების მხატვრული ასახვით.

კრებული იხსნება სურენ ავჩიანის ლექსებით. ეს პოეტი ნაყოფიერად მუშაობს. მან სომხურ ენაზე თარგმნა ნ. ბარათაშვილის ლექსები, ს. შანშიაშვილის „არსენა“, ს. კლდიაშვილის „გმირთა თაობა“, ვ. დოლაძის ოპერა „ქეთო და კოტეს“ ლიბრეტო და სხვ. ს. ავჩიანის პიესები „სოსი და ვარდიტერი“, „ქორ-ოღლი“, „საიათნოვა“ წარმატებით იდგმებოდა თბილისის სომხური დრამის სახელმწიფო თეატრში.

კრებულში წარმოდგენილი ლექსებიდან ყურადღებას იპყრობს ს. ავჩიანის „დედა“, რომელიც მიძღვნილია სამამულო ომის თემისადმი:

მგზნებარედ არის დაწერილი სხვა ლექსები: „გაზაფხულია... ზეიმია!“ და „შოთა რუსთაველი“.

კრებულში წარმოდგენილია მკრტიჩ ასლანიანის ორი მოთხრობა „ქარიშხალი“ და „ქიარამ“ (თარგმანი ვ. შილაკაძისა). მოთხრობებში ასახულია რუსი, სომეხი და ქართველი ხალხების მეგობრობა, სომეხ მშრომელთა წამება თურქეთის ულელქვეშ. სიუჟეტის სხარტად გამოკვეთა, თხრობის სასადავე, გმირების დამაჯერებლად დახატვა, საინტერესო დიალოგები — აი რა ახასიათებს მ. ასლანიანის მოთხრობებს. ინტერესით იკითხება მოთხრობა „ქიარამ“. აქ მწერალმა შეძლო ნამდვილ ფაქტებზე დაყრდნობით მხატვრულად აესახა სომეხი მშრომელი ხალხის მძიმე, ტანჯული ცხოვრება თურქეთის ბატონობის პირობებში. ნაწარმოები გამსჭვალულია სომეხი მშრომელი ხალხის სულიერი სისპეტაკისა და მტერზე გამარჯვების ღრმა რწმენით.

კრებულში მკითხველი ეცნობა ვარანსტური საზოგადოების ცხოვრებასთან ატრიანის, არშაკ ვარდანიანის, წერეტ თორგომიანის, ტენიკ სეირანიანის, ვართან სიმონიანის, საკა მანველიანის და სხვათა მოთხრობებს.

ვ. ატრიანი, რომელსაც გარკვეული ღვაწლი მიუძღვის სომხური საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში საქმეში, წარმატებით მუშაობს ქართველი მწერლების ნაწარმოებთა სომხურად თარგმნაზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია მის მიერ ქართულიდან სომხურად თარგმნილი სამამამვო მოთხრობები. კრებულში წარმოდგენილია ვ. ატრიანის სამი მოთხრობა. „ძმობის ხიდი“ (თარგმანი ვ. შილაკაძისა), „მწყემსი თედორე“ და „ტრაპიზონის ჩიტაღლენები“ (თარგმანი ა. დავითიანისა). ამ ნაწარმოებებში ღრმად და დამაჯერებლად დახატული არიან საბჭოთა ადამიანები, მათი ცხოვრება, ბრძოლა და შრომა. განსაკუთრებით საინტერესოდ იკითხება მოთხრობა „ძმობის ხიდი“, სადაც რეალისტურად არის აღწერილი საბჭოთა ადამიანის დაუღალავი შრომა კომუნიზმის საბოლოო გამარჯვებისათვის.

დიდ სამამულო ომში უბრალო საბჭოთა ადამიანის გმირული ბრძოლა, მისი ხასიათის სისპეტაკე, კეთილშობილება გამოვლინებულია არშაკ ვარდანიანის პატარა მოთხრობაში „მარჯვენა ხელი“ (თარგმანი ს. ავჩიანისა). კითხულობთ ამ ნაწარმოებს და გული სიამაყით გევსებათ იმ გმირობისა და ჭეშმარიტი ადამიანური გრძნობებისათვის, რომლებიც კომუნიზმის მშენებელი თაობის დამახასიათებელ თვისებებს წარმოადგენენ.

მეტად საინტერესო შემოქმედებითი გზა აქვს განვლილი მწერალ წ. თორგომიანს. იგი გამოჩენილი სომეხი მწერლების ო. თუმანიანისა და ა. აკოფიანის ახლო მეგობარი იყო, ხშირად მონაწილეობდა მათ მიერ მოწყობილ ლიტერატურულ საღამოებში.

თავის მოთხრობებში „კოლხიდა“, „ლადოს ნაამბობი“ წ. თორგომიანმა რელიეფურად, დამაჯერებლად, საქმის ღრმა ცოდნით დახატა საქართველოს მრავალფეროვანი ბუნება, მისი ადამიანები, გვიჩვენა ხალხთა მეგობრობის სიდიადე, მშრომელი ადამიანების ხასიათის სისპეტაკე და შეუპოვრობა.

კრებულში წარმოდგენილი მისი მოთხრობა „მშობლიური სიმები“ გვიხატავს უბრალო ადამიანის — მეურნე მელქონის მაღალ ადამიანურ გრძნობებს. მოთხრობა დაწერილია დიდი პოეტური განცდით. ეცნობი ამ მოთხრობას და რწმუნდები მწერლის ნამდვილ ოსტატობაში, მას უნარი აქვს სრულყოფილად ასახოს დადებითი გმირი, მისი ხასიათი და ნებისყოფა.

მიუხედავად იმისა, რომ წ. თორგომიანმა უკანასკნელ ხანებში მხედველობა დაკარგა, ის მაინც დიდი მონდომებით განაგრძობს მუშაობას ლიტერატურის ფრონტზე. მან ახლახან დაამთავრა ახალი რომანი „ჩაუქრობელი ცეცხლი“, რომელსაც უშვებს სომხეთის სახელმწიფო გამომცემლობა.

თბილისელი ახალგაზრდები კარგად იცნობენ მწერალ ბ. სეირანიანს, რომლის პიესა „შეხვედრა“ წარმატებით იდგმებოდა მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში. 1952 წელს გამომცემლობა „მოლოდაია გვარდიამ“ რუსულ ენაზე გამოსცა მისი ნოველებისა და მოთხრობების კრებული. ბ. სეირანიანის მრავალი მოთხრობა და ნოველა თარგმნილია ქართულ ენაზე. კრებულში წარმოდგენილია საინტერესო მოთხრობა „რუსული გული“. იგი მიძღვნილია ჩვენი ქვეყნის ხალხთა დიადი მეგობრობისადმი, ამ მეგობრობის პირველი მებაირახტრის დიდი რუსი ხალხისადმი. შეუძლებელია აუღელვებლად წაიკითხოთ სტრიქონები, რომლებითაც მწერალი დამაჯერებლად ხატავს რუსი და სომეხი ხალხების მეგობრობის სიდიადეს. „...ჩვენს ოჯახებს შორის, — ეუბნება მოთხრობის ერთ-ერთი გმირი ლენინგრადელი ლეონიდ სოლოვიოვი ერევნელ სერგი დოვლათიანს, — უნდა დამყარდეს უახლოესი მეგობრობა. სიშორე ხელს არ შეგვიშლის ამ საქმეში. მე, თქვენი რუსი ძმა, იქ, ლენინგრადში, თქვენ, ჩემი სომეხი ძმა, აქ, ერევანში ერთმანეთს მტკიცედ უნდა დავუკავშირდეთ... მომეცით ხელი!..“ კითხულობ მოთხრობას და გრძნობ, რომ ეს მეგობრობა მარად ურღვევია.

ყურადღებას იპყრობს მწერალ ს. მანველიანის მოთხრობა „გამარჯვების თაღი“, რომელიც ავტორს მიძღვნილი აქვს საბჭოთა კავშირის გმირ ი. ციციშვილისადმი. ამ მოთხრობაში მკითხველი ეცნობა ფაშისტ დამპყრობთა ვერაგობას, ბარბაროსობას, რომელსაც მწერალი უპირისპირებს საბჭოთა ხალხის, მისი მოწინავე ადამიანების გმირულ შრომას ტექნიკის, მეცნიერების აღმავლობისათვის, ქალაქებისა და სოციალისტური სოფლების მშენებლობისათვის.

კრებულში წარმოდგენილია თბილისში მცხოვრები სომეხი პოეტების რუბენ აღაბაბის, გევორგ გრიგის, ჰოვანეს კარაიანის, პაჭარეს, ანდრანიკ სადათელიანის, მარტინ ქარამიანის, ვლადიმერ ჰოვანისიანის და სხვების ლექსები. ეს პოეტები ნაყოფიერად მუშაობენ სომხური პოეზიის გამდიდრებისათვის.

ფორმის სიახლით, მაღალიდეურობით ყურადღებას იმსახურებს რ. აღაბაბის ლექსები „ღამე მესხეთში“ და „სიმღერა“.

კარგია გ. გრიგის ლექსები „ერთად წავიდეთ ყანაში“, „ვაჟა-ფშაველას“ და „ჩვენი ფოლადი“.

პოეტ ჰ. კარაიანს ლექსები მიძღვნილია თანამედროვეობის თემებისადმი. პოეტი უმღერის კომუნიზმს და მის მშენებელ საბჭოთა ხალხს.

„მსურს სიტყვა გითხრა. ბაირახტარო,
დიდო პარტიავ, ჩვენო შუქნელო,
მაღალ მასისზე უფრო მაღალო
და თვითონ მზეზე ცხოველმყოფელო“.
(თარგმანი გ. ტაბაშიძისა).

ასე იწყება მ. ქარამიანის ლექსი „სიტყვა პარტიას“. პოეტმა შეძლო ამ ლექსში ეჩვენებინა კომუნისტური პარტიის სიდიადე და უძლეველობა. მ. ქარამიანის სხვა ლექსებში, რომლებიც მოთავსებულია კრებულში, გადმოცემულია საბჭოთა ადამიანების საგმირო საქმეები, ხალხთა ურღვევი მეგობრობა.

საბჭოთა მწერლების მეორე საკავშირო ყრილ

„ინგლისის პარლამენტმა უნდა გამოხატოს ხალხის ნება“

დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის აღმასკომის განცხადება

ლონდონი, 10 იანვარი. (საკდესი). დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელიც მოუწოდებს მშრომელებს ყოველი ღონისძიებით დაუჭირონ მხარი 25 იანვარს პარლამენტის წევრებთან შეხვედრის დღის მომზადებასა და მოწყობას, რათა პროტესტი გამოთქვან დასავლეთ გერმანიის შეიარაღების წინააღმდეგ. „ბრძოლა იმისათვის, რომ მივაღწიოთ გერმანიის შეიარაღების გეგმების ჩაშლას, — ნათქვამია განცხადებაში, — ახალ და გადამწყვეტ ეტაპზეა, როცა ინგლისელი ხალხის აქტიურ მოქმედებას შეუძლია ხელი შეუშალოს ამ დამლუპველი გეგმების განხორციელებას. ინგლისის პარლამენტი უნდა გამოხატავდეს ხალხის ნებას და მან შეცვალოს გერმანიის მილიტარიზმის აღდგენის პოლიტიკა, რასაც მთავრობა ახორციელებს. როცა 25 იანვარს პარლამენტი კვლავ შეიკრიბება, დეე პარლამენტის წევრებთან ამ ყველაზე ფართო შეხვედრამ, როგორიც კი ოდესმე ყოფილა, ნათლად აგრძნობინოს მათ ამომრჩეველთა სურვილი“.

განცხადებაში ხაზგასმით არის აღნიშნული საფრანგეთის ეროვნულ კრებაში კენჭისყრის არაწარმომადგენლობითი ხასიათი და მოყვანილია ფაქტები, რომლებიც ცხადყოფენ, რომ თვით დასავლეთ გერმანიაში ხალხის უმრავლესობა იღაშქრებს მილიტარიზმის აღორძინების წინააღმდეგ. კომპარტიის აღმასკომი აღნიშნავს, რომ ინგლისის პარლამენტის წევრთა მხოლოდ 40 პროცენტმა მისცა ხმა პარლამენტში გერმანიის შეიარაღების სასარგებლოდ. „ჯერ კიდევ წინ არის საფრანგეთის რესპუბლიკის სპეშრში და დასავლეთ გერმანიის პარლამენტში კენჭისყრის პროცესი. იმ შეთანხმებათა რატიფიკაცია, რომლებიც უფლებას იძლევიან შეიქმნას გერმანიის არმია, ჯერ კიდევ არ დამთავრებულა“.

ბევენის განცხადება

ლონდონი, 10 იანვარი. (საკდესი). როგორც პრეს ასოშიეიშნის საგენტო იუწყება, სტატეა წარმოთქვა რა ტეკინჩემში, ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთმა ცნობილმა მოღვაწემ ბევენმა განაცხადა: „ჩვენ გვაქვს წყალბადის ბომბების მარაგი, ჩვენ გვაქვს ყველა სახეობის იარაღი, რაც კი საჭიროა მთელი მსოფლიოსათვის. რუსებსაც აქვთ იგი. ჩვენ ვეუბნებით რუსებს: ჩვენ განზრახული გვაქვს გელაპარაკოთ ძალის პოზიციიდან. როცა უფრო ძლიერი გავხდებით, ჩვენ შეგხვდებით თქვენ. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი კუნძული მომავალ ომში იარსებებს მხოლოდ 30 საათს. თუ ჩვენ დავიწყებთ ომს, ყველანი დავიღუპებით. იღეონი მოითხოვდა, რომ გერმანიას მიეცეს იარაღი, ახლა კი შეიარაღებას უკვე აღარი აქვს მნიშვნელობა ომის დროს, ყოველ შემთხვევაში უდიდეს ქვეყნებს შორის ომის დროს.

ჩვენ უნდა შევეცადოთ შეეხვდეთ რუსეთს პირველ შესაძლებლობისთანავე. საკითხი ერთი ან მეორე მხარის დათმობას ეხება. თუ თქვენ არ შეგიძლიათ შეთანხმდეთ, თქვენ უნდა სცადოთ შეთანხმების მიღწევა მეორედ. ეი ყოველივე ის, რაც თქვენ შეგიძლიათ“.

ბევენმა მოუწოდა თავის მსმენელებს ცხადყონ, რომ ისინი არ მიჰყვებიან გენერლებს და ადმირალებს, რომლებიც სულელური სიტყვებს წარმოთქვამენ. „თუ რეიდფორდი ამბობს, რომ საჭიროა კორეას დაეყაროონ ატომური ბომბები, იგი დამნაშავე რეგვენია. თუ ომასვე ამბობს მონტგომერი, მას უნდა ვუთხრათ, რომ მას უჯიბს ჩუმად იყოს. ჩვენს ქვეყანას არა სურს კუდში მისჩანჩალებდეს უპასუხისმგებლო ფელდმარშლებს.

ინგლისში ჩავიდნენ ყოფილი ჰიტლერელი ოფიცრები

ლონდონი, 10 იანვარი. (საკდესი). გუშინ ლონდონს ხუთი დღის ვიზიტით ჩამოვიდა ყოფილ ჰიტლერელ ოფიცერთა ჯგუფი გენერალ-ლეიტენანტ ჰოიზინგერის, მისი ადიუტანტის — პოდპოლკოვნიკ შეერდფეგერის, პოლკოვნიკ გაულის, მე-2 რანგის კაპიტნების ზენკერისა და გერლახის და მე-3 რანგის კაპიტან როვერის შემადგენლობით.

ამასთან დაკავშირებით ინგლისის საზღვაო სამინისტრომ გამოაქვეყნა შემდეგი განცხადება: „ექვსი გერმანელი ოფიცერი, რომელთაც პოსტები უკავიათ ბლანკის უწყებაში და პასუხისმგებელი არიან თავდაცვაში დასავლეთ გერმანიის მომავალი წვლილის დაგეგმვისათვის, ინახულებს ინგლისის საზღვაო სამინისტროს და მისი უდიდებულესობის ხომალდებს პორტსმუთის რაიონში... ამ მგზავრობის მიზანია მოამზადოს ნიადაგი მომავალი თანამშრომლობისათვის ინგლისის სამხედრო-საზღვაო ფლოტსა და გერმანიის სამხედრო-საზღვაო ფლოტს შორის“, რომელიც, როგორც განცხადებაში ნათქვამია, შეიქმნება, როცა პარიზის შეთანხმებანი ძალაში შევლენ.

დასავლეთგერმანელ ახალგაზრდობას არა სურს იმსახუროს ვერმახტში

ვენა, 11 იანვარი. (საკდესი). ავსტრიის სოციალისტური პარტიის გაზეთი „ტაგბლატი“ (გამოდის ლინცში) გაფრთხილებას იძლევა გერმახტის ხელახლა შექმნის წინააღმდეგ.

გაზეთი აღნიშნავს, რომ დასავლეთ გერმანიის ახალგაზრდობას არა სურს მიიღოს მონაწილეობა რევანშისტულ ომში და ვერმახტის აღორძინების წინააღმდეგია. „გერმანიის მილიტარიზმის აღორძინება, როგორც გასულმა წელმა დაგვანახვა..., გაცილებით უფრო მძიმე საქმეა, ვიდრე ვამნეტაროში ჰეონიათ“, — წერს გაზეთი.

ახალგაზრდობა სამხედრო სამსახურში რომ მიიზიდონ, ბლანკი (დასავლეთ გერმანიის ფაქტიური სამხედრო სამინისტროს მეთაური. — რედ.) და მისი ხელქვეითნი, განაგრძობს „ტაგბლატი“, ცდილობენ უაღრესად წარმტაცი წარმოდგენა შეუქმნან ახალგაზრდობას ვერმახტის შესახებ. ზოგჯერ ისინი კურიოზულ გულმოდგინეობას იჩენენ. მაგალითად, მომავალი ვერმახტის სამხედრო ორკესტრებმა მიიღეს საქსოფონები და ჰავაის გიტარები. „ბლანკი ცდილობს ასეთი ფანდებით გაუკეთოს რეკლამა ვერმახტს, რომელსაც ხელახლა ქმნიან“. მაგრამ ვერავითარი ფანდები საქმეს ვერ შველის — ვერმახტის რიგებში შესვლის შესახებ ახალგაზრდობისადმი მოწოდებას არავინ ეხმაურება.

«მთელ ძალებს მოვახმართ ტაივანის განთავისუფლების საქმეს»

პეკინი, 10 იანვარი. (საკდესი). მთელ ჩინეთში მიმდინარეობს ფართო სახალხო საპროტესტო კამპანია შეერთებული შტატების მიერ ჩინეთის ტერიტორიის—კუნძულ ტაივანის უკანონო ოკუპაციის წინააღმდეგ. მშრომელები გმობენ ამერიკა-ჩანკაიშელთა სამხედრო ხელშეკრულებას და ვალდებულებას კისრულობენ ყველა ღონისძიებით შეუწყონ ხელი ტაივანის განთავისუფლებას.

პრესა იუწყება მასობრივი მიტინგების შესახებ, რომლებიც გაიმართა შანხაიში, მუკდენში, უხანში, დალნში, ხანჯოუში, კანტონში, ფუჯოუსა და ჩინეთის სხვა დიდ ქალაქებში. ფუძიანისა და ჯეძიანის პროვინციების ომ სანაპირო რაიონების მოსახლეობის წარმომადგენელთა კრებებზე, რომლებსაც თავს ესხმიან გომინდანელთა ბანდები, მიღებულია რეზოლუციები, რომლებშიც აღნიშნულია, რომ მხოლოდ ტაივანის განთავისუფლება და გამყიდველი ჩანკაი-შის ხროვის მოსპობა შეუქმნის ჩინელ ხალხს მშვიდობიანი ცხოვრების გარანტიას.

ტაივანის განთავისუფლებისათვის ხელშეწყობის მიზნით პეკინის, ხარბინის, ჩუნციუნისა და სხვა ქალაქების მრავალი საწარმოს კოლექტივები კისრულობენ გადიდებულ ვალდებულებებს.

ანშანის მეტალურგიული კომბინატის № 6 და № 7 ბრიგადების მეტალურგები, რომლებმაც ვადამდე შეასრულეს 1954 წლის გეგმა, თავიანთ პატაკში აცხადებენ: „ჩვენი კოლექტივი არ დაკმაყოფილდება მიღწეული შედეგებით. ჩვენს ქვეყანას კიდევ უფრო მეტ თუჯს მივცემთ, მტკიცედ ვიბრძოლებთ ამერიკა-ჩანკაიშელთა სამხედრო ხელშეკრულების წინააღმდეგ, მთელ ძალებს მოვახმართ ტაივანის განთავისუფლების საქმეს“.

ეროვნული კომუნიკე ჯოუ ენ-ლაისა და ჰამარშელდის შეხვედრის შესახებ

პეკინი, 10 იანვარი. (საკდესი). როგორც სინხუას საგენტო გადმოგვცემს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო სამეჭოს პრემიერისა და საგარეო საქმეთა მინისტრის ჯოუ ენ-ლაის და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის დაგ ჰამარშელდის დღევანდელი შეხვედრის დროს მიღწეულ იქნა შეთანხმება შემდეგი შინაარსის ერთობლივ კომუნიკეზე:

„შედეგად პირადი შეხვედრის შესახებ წინადადებისა, რაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა გააკეთა თავისი 1954 წლის 10 დეკემბრის დეპეშით, და ს